საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10989/01
21/10/2021

10989-01-2-202110211709

შპს „შარა-გზამშენი პირველს“
მის: ქ. ხობი, სახოკიას ქ. N1
ელ. ფოსტა: sharagza@mail.ru;
esec.ecometer@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 21 სექტემბრის N16970 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ხობში, ასფალტ-ბეტონის ქარხნის, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროსა და ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტროს მიერ შპს „შარა-გზამშენი პირველზე“ 2006 წლის 24 მაისს გაცემული N64 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის თანახმად, საწარმოში ბიტუმი შემოიზიდება 200 ლიტრიანი კასრებით და თავსდება ღია ტიპის საცავში. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ბიტუმის რეზერვუარების განთავსების ადგილად განხილულია ასევე ღია ტიპის საცავი (გვ. 6). თუმცა, სკრინინგის განცხადებას თანდართული დოკუმენტის - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტის მიხედვით, საწარმოსთვის ქვეყანაში ბიტუმის იმპორტი ხდება ავტოცისტერნებით, ხოლო შემოტანილი, 50^0C-70^0C-მდე გაცხელებული ბიტუმი თავსდება ლითონის ოთხ რეზერვუარში (ორი 18 $მ^3$ და ორი 60 $მ^3$ მოცულობის). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბიტუმის საწარმოში შემოტანისა და განთავსების საკითხი ასახული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სამ ნაკვეთს (საკადასტრო კოდები: 45.21.22.249 - 3480 $მ^2$; 45.21.22.250 - 15933 $მ^2$; 45.21.22.001 - 15840 $მ^2$). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ 45.21.22.249) გადავიდა შპს „ფერმერის სახლის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 244691534) საკუთრებაში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე